საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/9364
31/10/2023

9364-21-2-202310311230

შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდს“
მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N129ა
ელ. ფოსტა: info@calikgeorgia.com
murat.ozkan.@calikenerji.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2023 წლის 10 ოქტომბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N9861 განცხადება, რომელიც ეხება გორისა და კასპის მუნიციპალიტეტებში, 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, N8 ანძის განთავსება დაგეგმილია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ნადარბაზევის წმ. გიორგის ეკლესიის ვიზუალური დაცვის არეალში, ძეგლიდან 73 მეტრში. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N17/4063 წერილის შესაბამისად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მიხედვით, ძეგლების დამცავ ზონებში ძეგლების აქტიური ვიზუალური აღქმის სივრცეში დაუშვებელია დიდმასშტაბიანი სარეკლამო აბრების, ელექტრო და სატელეფონო ანძების, სატელევიზიო ანტენების და სხვა დიდმასშტაბიანი მიწისზედა საინჟინრო და ტექნოლოგიური მოწყობილობების განთავსება. ამასთან, გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს 2021 წლის 10 ნოემბრის N17/4244 წერილი, თუმცა არ არის წარმოდგენილი სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდის“ მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში გაგზავნილი წერილი, შესაბამისი დოკუმენტაციით. სააგენტოს N17/4063 წერილის შესაბამისად, აღნიშნული კანონის თანახმად, N8 ანძის განთავსება უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის მიღმა (არანაკლებ 350 მ დაშორებით), ხოლო გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს საქართველოს

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო მონაკვეთი გადის კერძო საკუთრებაში არსებულ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე. კერძოდ N7, N25, N26, N27, N28, N29, N30, N31, N32, N33 და N42 ანძა ხვდება კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ხოლო თვრამეტი ნაკვეთი მოქცეულია ეგხ-ის ბუფერში. გზშ-ის ანგარიშში განხილულია ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების საკომპენსაციო/გამოსყიდვის ღონისძიებები, თუმცა არ არის წარმოდგენილი კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სარგებლობის/მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. **შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სარგებლობის/მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**
- N22 სკოპინგის დასკვნის თანახმად, „მნიშვნელოვანია, რომ სულ მცირე ერთი სახეობის, როგორიცაა ფასკუნჯი, კვლევა ჩატარდეს სატელიტური გადამცემების გამოყენებით. აღნიშნული კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ კუმულაციური ზემოქმედებისა და ალტერნატივების შეფასება/შერჩევის მიზნით, არამედ სამომავლოდ გზშ-ისა და ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების მომზადებისას.“ თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ პროექტის ფარგლებში უფლისციხესთან მობუდარ ფასკუნჯზე სატელიტური კვლევის ჩატარება კომპანიას საჭიროდ და აუცილებლად არ მიაჩნია. ვინაიდან, პროექტის ზემოქმედების შესაძლებლობა ფრინველებზე (ფასკუნჯზე) ეხება კონკრეტულ ლოკაციას, ბუდიდან დაახლოებით 1 კმ მონაკვეთს და არა მის არეალს მთლიანობაში, ხოლო ამ წყვილის ფრენის ტრაექტორიის შესწავლა ეგხ-სთან მიმართებაში ვიზუალური დაკვირვებითაც არის შესაძლებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დასაბუთება და კვლევის შედეგები (რუკის მითითებით და სხვა), მათ შორის შესაბამისი ექსპერტის დასკვნით;
- N22 სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობისა და მახასიათებლების დეტალური კვლევის (ტაქსაცია) შედეგებს, რასთან დაკავშირებითაც “თავი 14-ში” აღნიშნულია, რომ (სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების ერთიანი ცხრილი) შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია 6.8 ქვეთავში. ხოლო 6.8 ქვეთავში მითითებულია, რომ სამშენებლო დერეფანში, კერძო მიწის ნაკვეთებს გარეთ სულ გამოვლინდა 2207 ძირი ხე, რომელთა ჩამონათვალიც მოცემულია ცხრილში 29, თუმცა არ არის განმარტებული, რომელი სახეობები ექვემდებარება ჭრას (რაოდენობის მითითებით), რაც გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის 4.4. ქვეთავში აღნიშნულია, რომ ეგხ-ის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე საჭიროა სატყეო ტერიტორიაზე **ტყის სტატუსის შეწყვეტა** კანონმდებლობიდან გამომდინარე. ამავე თავში მოცემულია ინფორმაცია **ტყით**

სპეციალური სარგებლობის შესახებ. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ტყით სარგებლობის საკითხი. ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შენიშვნის შესაბამისად, „თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს ტყის სტატუსის შეწყვეტას ან განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობას, საქმიანობის განმახორციელებელმა გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.“ კერძოდ, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის აუცილებლობის მოტივაცია, მიზანი და ვადები; განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის შერჩეული ფართობის დაზუსტებული აზომვითი ნახაზი UTM კოორდინატთა სისტემაში, ამასთან, დაზუსტებული აზომვითი ნახაზის Shp-ფაილი; ხე-ტყის მოჭრის აუცილებლობის დასაბუთება; განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის შერჩეულ ფართობზე არსებულ მერქნიან მცენარეთა მონიშვნის მასალები, მათ შორის აღრიცხვის მასალები, ასევე, დაზუსტებული ინფორმაცია წითელი ნუსხით დაცულ მერქნიან მცენარეთა სახეობების არსებობის/ჭრის შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს „სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდსათვის“ საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 სექტემბრის N1612 განკარგულება, რომელიც გაცემულია **ნიგოზას ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის მიზნით.** შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და ექსპლუატაციის ტერიტორია მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის (ტექნოგენური ნარჩენი) მოპოვების მიზნით ლიცენზირებულ ობიექტს. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გარდა ამისა, გიგზავნით, ადმინისტრაციულ ეტაპზე სააგენტოში წარმოდგენილ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N17/4063 წერილს.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული გზშ-ის ანგარიშისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ. ვერსია

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო